ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45

2026 წლის 28 აპრილი

ქ. რუსთავი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №61 (www.matsne.gov.ge; 30/01/2015 წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.160.016271) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართი №1-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დანართის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო მოხელე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 , 77^2 , 107^4, 119^1, 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-16 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4 მუხლის და 166^2 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 , 77^2 , 107^4, 119^1, 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-16 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4 მუხლით და 166^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“;

ბ) დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირს, ვის მიმართაც გამოტანილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1, 77^2, 107^4, 119^1, 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-16 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4 მუხლით და 166^2 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმი, საჯარიმო ქვითარი მისი შედგენიდან 10 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია გაასაჩივროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა რეხვიაშვილი**